



ფინანსური და მენეჯერების აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე გ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

15 01 2018 წელი

ეგზ. №1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 12/36

2018 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	4
შესავალი.....	6
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა.....	9
საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება	10
სატრანსპორტო საშუალებები	11
„ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამა.....	13
აფიდავიტის მოთხოვნების დაცვა.....	14
ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადები.....	18
საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაცია.....	18
სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	19
შიდა ეზოების მოასფალტება	21
შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება	22
სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.....	22
ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.....	23
სკვერის კეთილმოწყობა	24
პირობითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	26
პირობით მოსაზრების საფუძველი	27
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	27
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	27
ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	28
წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე განხორციელებული რეაგირებები.....	28
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	29
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	29

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. შედეგად გამოვლინდა:

- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ❖ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯის გაწევისას არ დაიცვა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები. ასევე დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს.
- ❖ ჩატარებული ტენდერების შესწავლით გამოვლინდა შემთხვევები, როცა მეტი ფინანსური სარგებლის მისაღებად ტენდერში მონაწილე პირები სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და არღვევდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ აფიდავიტის მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია საბიუჯეტო რესურსის არაეკონომიური ხარჯვა.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს ხარჯების გამოსწორების მიზნით არ გაუტარებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. შედეგად მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული შედეგი გრძელვადიან პერიოდში.
- ❖ მუნიციპალიტეტში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესწავლით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში სამუშაოების ნაწილი შესრულებულია პროექტის შეუსაბამოდ და არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №2: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ავტოპარკმა გადააჭარბა მთავრობის მიერ რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციასა და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, შემუშავებული წესი თავისებადი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია №3: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ უმსჯელიათ აფიდავიტის დარღვევის შესაძლო რისკებზე, მაშინ, როდესაც ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სავარაუდოდ არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტმა, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის რისკებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აფიდავიტის პირობების დარღვევის გამოვლენა და სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოვლენილ ხარვეზებზე სათანადო რეაგირების განხორციელება. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი

პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად უნდა განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე გამგეობამ, პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ საგარანტიო პერიოდში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია №5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად განხორციელება. მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს დროულად გამოავლინოს სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე არსებული ხარვეზები, დაადგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და ხელშეკრულების პირობებს შორის არსებული შეუსაბამოებები. ამასთანავე, გამგეობამ არ დაუშვას შეუსრულებელი სამუშაოების ჩაბარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესრულებული სამუშაოების პროექტის შესაბამისად განხორციელებას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს აღნიშნულ ხარვეზზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

შესავალი

აუდიტის საგანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 24 225.7 ათასი ლარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810; 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული

შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები¹

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;
- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 16 ადმინისტრაციულ ერთეულს,

¹ 2015-2016 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

მათ შორის, 1 ქალაქს და 56 სოფელს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფართობია 533 კვ.კმ², მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 31.3 ათას კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ლანჩხუთი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გადასახდელები განისაზღვრა 36694.1 ათასი ლარით. აქედან, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 12%, ხოლო „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე“ გაწეული ხარჯი გადასახდელების 54%-ია. აღნიშნულ პროგრამებზე ჯამში დახარჯულია 24 255.7 ათასი ლარი⁴.

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა გასწია 4 316.7 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, 2015 წელს 2 089.0 ათასი, ხოლო 2016 წელს - 2 227.7 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია: მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები - 4 271.7 ათასი ლარი, ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობის ხარჯები - 44.4 ათასი ლარი, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ხარჯები - 0.6 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი №1. 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

გადასახდელები	2015 წელი	2016 წელი	2015-2016 წწ
ხარჯები	2 048.6	2 223.1	4 271.7
შრომის ანაზღაურება	1 445.2	1 667.6	3 112.8
საქონელი და მომსახურება	592.6	549.0	1 141.6
სოციალური უზრუნველყოფა	10.6	6.5	17.1
სხვა ხარჯები	0.15	0.1	0.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	40.4	4.0	44.4
ვალდებულებების კლება	0	0.6	0.6
ჯამი	2 089.0	2 227.7	4 316.7

² www.budgetmonitor.ge

³ geostat.ge (2016 წლის მდგომარეობით)

⁴ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა - 4 316.6 ათასი ლარი, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამა - 19 939.1 ათასი ლარი.

საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა⁵. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი რომელშიც აღინიშნება ფორმის დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁶.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, გარდა თანამდებობის პირებისა, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.⁷

გარემოება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თითოეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) 2015 წლის სექტემბრამდე განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა 500-600 ლარი⁸, ხოლო 2015 წლის სექტემბრიდან - 397.5 ლარი.

2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 191.1 ათასი ლარი, მათ შორის, 2015 წელს - 108.4 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს - 82.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, ძირითად შემთხვევაში ხარჯები ანაზღაურებულია ლიმიტის მაქსიმალური ოდენობით და არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 41, პუნქტი 1.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 156, პუნქტი 5.

⁸ 2015 წლის მაისამდე - 500 ლარი, მაისიდან სექტემბრამდე - 600 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 22 ივლისიდან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა საკრებულოს წევრთა ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტის ოდენობა, რომლის მიხედვით, ასანაზღაურებელი ხარჯების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს, რაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 397.5 ლარია. მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა აღნიშნული შეზღუდვა და აგვისტოს თვეში საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე ხარჯების ანაზღაურების მიზნით თითოეულზე გასცა 600 ლარი. შედეგად, დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და საკრებულოს წევრებზე აგვისტოს თვეში ლიმიტს ზემოთ ანაზღაურებულია 3.6 ათასი ლარი.

შედეგად, 2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობრივ პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 191.1 ათასი ლარი, ისე, რომ არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი. აღნიშნული ქმედებით დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები, ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა 2015 წლის აგვისტოში საკრებულოს არათანამდებობის წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით, თანხა გასცა თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარბებით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №1: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

სატრანსპორტო საშუალებები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება⁹, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

არსებული რეკომენდაციით, 2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 ავტომანქანა.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს¹⁰.

გარემოება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 2015 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტომანქანით, ხოლო 2016 წელს - 8 ავტომანქანით. აღნიშნული ავტომანქანების ექსპლოატაციისათვის, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, 2015-2016 წლებში დახარჯულია 172.1 ათასი ლარი¹¹.

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 2015 წელს 1 ერთეულით, ხოლო 2016 წელს - 2 სატრანსპორტო საშუალებით აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებს კერძო პირებისგან იჯარით აყვანილ ავტომობილებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის გამგებელი სარგებლობს 2 ავტომობილით, რაზეც გაფორმებული არის საიჯარო ხელშეკრულებები. აქედან, ერთი ავტომობილი გამგებლის (ზაზა ურუშაძე) საკუთრებაა, ხოლო მეორე ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალიტეტსა და ფ/პ ილია ურუშაძეს შორის¹². იჯარის პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობის ხარჯებს. კანონმდებლობის თანახმად¹³, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს. შესაბამისად აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებით დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ გამგებლის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა Volkswagen Passat-ის საწვავის გამოყენება არ ფიქსირდება 2016 წლის ივნისი-ოქტომბრის თვეებში, თუმცა ამავე პერიოდში ავტომანქანაზე გაწეულია სხვადასხვა სახის ხარჯი. კერძოდ, შეცვლილია საბურავები, გამოცვლილია ზეთი, ანტიფრიზი და სხვ. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა იჯარით აყვანილ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციაზე ხარჯები გასწია ისე, რომ მისი გამოიყენება არ მომხდარა მუნიციპალიტეტის საჭიროებებისთვის შესაბამის პერიოდში.

¹⁰ მუხლი 10.

¹¹ 2015 წელი - 95.8 ათასი ლარი, 2016 წელი - 76.3 ათასი ლარი.

¹² გამგებლის მამა


¹³ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი

რეკომენდაცია №2: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ავტოპარკმა გადააჭარბა მთავრობის მიერ რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შემომუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციასა და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, შემუშავებული წესი თავსებადი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.

„ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამა.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 19 939.0 ათასი ლარი. მათ შორის, 2015 წელს - 10 466.6 ათასი, ხოლო 2016 წელს - 9 472.4 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია №1 დიაგრამაზე.

დიაგრამა №1. 03 00 პროგრამის გადასახდელები 2015-2016 წლებში (ათასი ლარი)



2015-2016 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გაწეულია 17 391.6 ათასი ლარი, „ხარჯების“ მუხლით - 2 409.8 ათასი ლარი, ხოლო „ვალდებულებების კლება“ - 137.7 ათასი ლარი. „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა - 9 248. 9 ათასი ლარი;

- სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 4 844.5 ათასი ლარი;
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 778.5 ათასი ლარი;
- გარე განათება - 886.4 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 1 040.1 ათასი ლარი;
- ბინათმშენებლობა - 569.5 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 722.8 ათასი ლარი;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებული ღონისძიებები - 1 551.2 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებები - 297.1 ათასი.

„ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დასასვენებელი პარკებისა და სკვერების ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელისა და წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა-შენახვა, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა და სხვ.

აფიდავიტის მოთხოვნების დაცვა

კრიტერიუმი. ტენდერში პრეტენდენტი მონაწილეობას იღებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სატენდერო წინადადების წარდგენისას იგი ვალდებულია დაეთანხმოს აფიდავიტის მოთხოვნებს. აფიდავიტზე დათანხმებით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შედგენილია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ გამართულა კონსულტაცია, კომუნიკაცია ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებზე: სატენდერო წინადადების ფასი, სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება და სხვ.¹⁴

გარემოება. 2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები. შესყიდვის პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ტენდერში მონაწილე პირები სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებულად და მეტი სარგებლის მიღების მიზნით, არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს.

2016 წლის 24 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 542.8 ათასი ლარი¹⁵. შესყიდვის საგანი იყო სტიქიით დაზიანებული ობიექტების ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები. სატენდერო დოკუმენტაციით, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს მიმდინარე და უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში უნდა

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“

¹⁵ SPA160018330

ჰქონოდა ანალოგიური სამუშაოების (ნაპირსამაგრის მოწყობის) შესრულების გამოცდილება, საერთო ღირებულებით 1.5 მლნ ლარი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყოლოდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი და სხვ. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასები მოცემულია ცხრილის სახით.

ცხრილი 2. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასები (ათასი ლარი)

№	პრეტენდენტები	პრეტენდენტის საწყისი ფასი	პრეტენდენტის საბოლოო ფასი	შედეგი
1	შპს „სამკუთხედი“ ¹⁶	490.0	400.0	დისკვალიფიკაცია - არასაკმარისი სამუშაო გამოცდილება
2	შპს „ალფა +“ ¹⁷	490.0	433.0	დისკვალიფიკაცია - არ დააზუსტა ხარჯთაღრიცხვა, გამოცდილება, ტექნიკური ბაზა
3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში	488.0	479.9	დისკვალიფიკაცია - არ დააზუსტა გამოცდილება, ტექნიკური ბაზა და ხარჯთაღრიცხვა
4	შპს „კაპიტელი“ ¹⁸	497.1	497.1	დისკვალიფიკაცია - არ დააზუსტა გამოცდილება და ტექნიკური ბაზა
5	შპს „პალადა“	542.8	542.8	გამარჯვებული

ტენდერში მონაწილე 5 პრეტენდენტიდან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების რესურსი გააჩნდა მხოლოდ ორ პრეტენდენტს: შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ და შპს „პალადა“. სატენდერო კომისიამ „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ მოსთხოვა დაეზუსტებინა ორგანიზაციის გამოცდილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ხარჯთაღრიცხვა. პრეტენდენტმა არ დააზუსტა აღნიშნული დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მოხდა მისი დისკვალიფიკაცია. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „პალადა“ და ხელშეკრულება გაუფორმდა, ღირებულებით 542.8 ათასი ლარი. იმ გარემოებას, რომ „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ გააჩნდა სათანადო რესურსი, დაეზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია, ადასტურებს 2015 წლის 6 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობაზე, სადაც გამარჯვებულად გამოცხადდა აღნიშნული კომპანია და გაუფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 2 194.4 ათასი ლარი¹⁹.

¹⁶ შპს „სამკუთხედი“ არ გააჩნდა საკმარისი ანალოგიური სამუშაო გამოცდილება, რომელიც ირკვევა მის მიერ ატვირთული წერილიდან და ტექნიკურ დოკუმენტაციიდან.

¹⁷ შპს „ალფა+“ დაფუძნდა 2016 წლის 21 მარტს, ტენდერის გამოცხადებამდე 3 თვით ადრე. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საერთოდ არ უფიქსირდება სამუშაო გამოცდილება რაც ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის პრეტენდენტებისათვის ცნობილი იქნებოდა ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე, რადგან კანონმდებლობის მიხედვით პრეტენდენტების ვინაობა და ტექნიკური დოკუმენტაცია საჯარო ხდება ტენდერისათვის „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებისთანავე.

¹⁸ შპს „კაპიტელს“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის მიხედვით არ გააჩნდა საკმარისი ნაპირსამაგრი სამუშაო გამოცდილება, რაც ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის პრეტენდენტებისათვის ცნობილი იქნებოდა.

¹⁹ ხელშეკრულება № 226, სამუშაოები დასრულდა 2016 წლის 14 ივნისს.

არსებობს რისკი იმისა, რომ პრეტენდენტები „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ და შპს „პალადა“ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებულად და მეტი სარგებლობის მიღების მიზნით, არღვევდნენ აფიდავიტის პირობებს, რომელის მიხედვით, მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ უნდა წარიმართოს კონსულტაცია, კომუნიკაცია ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებზე: სატენდერო წინადადების ფასი, სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება.

საბოლოოდ, ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „პალადას“²⁰, რომლის ღირებულება 62.9 ათასი ლარით აღემატება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ მიერ საბოლოოდ შეთავაზებულ სატენდერო წინადადებას.

მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 2016 წლის 8 აგვისტოს მუნიციპალიტეტის მიერ სტიქიის შედეგად დაზიანებული გაბიონების აღდგენისათვის გამოცხადებულ ტენდერზე, სავარაუდო ღირებულებით 709.6 ათასი ლარი²¹. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, მათ მიერ ვაჭრობის შედეგად წარმოდგენილი ფასები მოცემულია ცხრილის სახით.

ცხრილი 3. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასები (ათასი ლარი)

№	პრეტენდენტები	პრეტენდენტის საწყისი ფასი	პრეტენდენტის საბოლოო ფასი	შედეგი
1	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში	585.0	585.0	დისკვალიფიკაცია - არ დააზუსტა გამოცდილება და ხარჯთაღრიცხვა
2	შპს „ალფა“ ²²	675.0	675.0	დისკვალიფიკაცია - არ დააზუსტა გამოცდილება, ხარჯთაღრიცხვა და ტექნიკური ბაზა
3	შპს „პალადა“	709.6	709.6	გამარჯვებული

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ არ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია, მაშინ, როდესაც რეალურად გააჩნდა რესურსი დაეკმაყოფილებინა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები. საბოლოოდ, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „პალადა“. გამარჯვებულ პრეტენდენტთან, შპს „პალადასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 124.6 ათასი ლარით აღემატება

²⁰ ხელშ. №162; 18.08.2016

²¹ SPA160022186

²² შპს „ალფა“ დაფუძნდა 2016 წლის 21 მარტს, ტენდერის გამოცხადებამდე დაახლოებით 4 თვით ადრე. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ უფიქსირდება სამუშაო გამოცდილება. რაც ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის პრეტენდენტისათვის ცნობილი იქნებოდა ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე, რადგან კანონმდებლობის მიხედვით პრეტენდენტების ვინაობა და ტექნიკური დოკუმენტაცია საჯარო ხდება ტენდერისათვის „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებისთანავე.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ მიერ საბოლოოდ შეთავაზებულ სატენდერო წინადადებას.

მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს სავარაუდოდ შეეძლო გამოევიდნა აფიდავიტის დარღვევის რისკები, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- ზემოთ განხილულ ორივე ტენდერში, შპს „პალადამ“ გამოცდილების დასადასტურებლად წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდინარე სუფსაზე ჩატარებული ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტის შესყიდვაზე მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა შპს-თან „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ - ღირებულებით 2 194.4 ათასი ლარი²³. ხელშეკრულების ფარგლებში შპს „პალადა“ წარმოადგენდა ქვეკონტრაქტორ კომპანიას.²⁴
- „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის 2016 წლის 1 აპრილს აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებულ ხელშეკრულებაზე წარმოდგენილი ჰქონდა საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, სადაც თავდები იყო შპს „პალადას“ დირექტორი²⁵.

არსებობს რისკი იმისა, რომ ზემოთ განხილულ ტენდერებზე პრეტენდენტები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებულად და არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტში შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ უმსჯელიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და არც შესაბამისი ღონისძიებები გაუტარებიათ.

თუ შევადარებთ დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ სატენდერო წინადადებას, ორივე ტენდერზე ჯამურად დააფიქსირა 1 064.9 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტმა შპს „პალადასთან“ ხელშეკრულებები გააფორმა 1 252.4 ათას ლარზე. ამრიგად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ გამოავლინეს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის ფაქტები, რის გამოც ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 187.5 ათასი ლარით აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ საბოლოო ფასს. შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 187.5 ათასი ლარი გაიხარჯა არაეკონომიურად.

რეკომენდაცია №3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ უმსჯელიათ აფიდავიტის დარღვევის შესაძლო რისკებზე, მაშინ როდესაც ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სავარაუდოდ არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის

²³ ხელშეკრულება № 226, სამუშაოები დასრულდა 2016 წლის 14 ივნისს.

²⁴ სამუშაოები შპს „პალადამ“ შესრულა, 189,4 ათას ლარით ნაკლებად.

²⁵ ხელშეკრულება № 80, ღირებულებით 407.9 ათასი ლარი; SPA160006232.

და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის რისკებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალუბოდან აფიდავიტის პირობების დარღვევის გამოვლენა და სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადები

კრიტერიუმი. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. აღნიშნული გულისხმობს სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრას იმგვარად, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღოს გონივრული რწმუნება სამუშაოების შესაბამისი მოცულობითა და ხარისხით შესრულების შესახებ. ამასთანავე, ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შესრულებული ვალდებულია გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაცია.

2015 წლის 22 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა, გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაციაზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „გილმარი 2-თან“, თანხით - 358.9 ათასი ლარი²⁶. შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 354.3 ათასი ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების ზედამხედველი ვალდებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შემოწმება განახორციელოს მშენებლობის ყველა ეტაპზე. ამასთანავე, მიმწოდებელს ევალუბოდა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა. ექსპერტიზის დასკვნით, დადასტურებულია სამუშაოთა მოცულობები, ხოლო ხარისხი შესწავლილი არ არის. შესაბამისად, ზედამხედველსა და ექსპერტიზას არ შეუძლონ შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

2017 წლის 28 ივნისს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტის ადგილი დაათვალირა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ შპს „გილმარი-2-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოები უხარისხოა. კერძოდ, დაზიანებულია ფასადი, კედლები, იატაკი, ჭერი.

²⁶ ხელშეკრულება № 214; SPA 150015602.

სურათი 1. გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა



აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს სამუშაოს მიღებიდან 5 წელს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან ოთხ თვეში დაზიანდა. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ ხარვეზების გამოსწორების მიზნით, მუნიციპალიტეტმა 2-ჯერ მიმართა მიმწოდებელს, რომელმაც სამუშაოები მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელს სრულად არ განუხორციელებია არსებული დაზიანებების აღმოფხვრა, მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებიათ, შენობის ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი დაზიანებების გამოსწორების მიზნით. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 354.3 ათასი ლარი ისეთ სამუშაოებში, რომელიც დაზიანებულია და საჭიროებს დამატებითი სამუშაოების შესრულებას.

სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები

2016 წლის 11 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა შპს „სამკუთხედთან“ გააფორმა ხელშეკრულება, თანხით 1 175.0 ათასი ლარი²⁷. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა ქ. ლანჩხუთში 8 ქუჩის რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა²⁸. აღნიშნული

²⁷ ხელშეკრულება №86; SPA 160006223.

²⁸ სანიაღვრე არხები მოეწყო მუსხელიშვილის, ჭავჭავაძის, ჩაჩავას, ბესიკის, წულაძის, გვარჯალაძის, შშვიდოშისა და გორგასლის ქუჩებზე.

სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 393.6 ათას ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოები დასრულებული და ანაზღაურებულია.

2017 წლის 28 ივნისს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტი ადგილზე დაათვალიერა, რის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლის მიერ მოწყობილი რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები ზოგ ადგილას დაზიანებულია და შეინიშნება სხვადასხვა ზომის ბზარი.

სურათი 2. დაზიანებული სანიაღვრე არხები



ხელშეკრულების მიხედვით, ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს სამუშაოს მიღებიდან 3 წელს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები 2016 წლის ნოემბერში დაზიანდა. საგარანტიო ვადაში დაზიანებების გამოსწორების მიზნით, გამგეობამ მიმართა მიმწოდებელს. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს არ გამოუსწორებია არსებული დაზიანებები, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა არ გაატარეს შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებები. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 393.6 ათასი ლარი ისეთ სამუშაოებში, რომლის ნაწილიც დაზიანებულია. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, გამგეობამ მიმწოდებელს ნაწილობრივ გამოსწორებინა არსებული ხარვეზები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით დარჩენილი დაზიანებები წარმოიქმნა არა მიმწოდებლის მიზეზით, არამედ ავტოსაგზაო შემთხვევების ან ქუჩების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების შესრულებისას. მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების სათანადო ექსპლოატაცია ისე, რომ მისი ქმდებით ან უმოქმედობით ზიანი არ მიადგეს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალური ქონება დაზიანდა ავტოსაგზაო შემთხვევების ან ქუჩების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების შესრულების დროს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეისწავლოს ქონების დაზიანების მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რაც ლანჩხუთის გამგეობის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ განუხორციელებია.

შიდა ეზოების მოასფალტება

2015 წლის 22 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გააფორმა შპს „სამკუთხედთან“²⁹. პროექტის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო ჟორდანias ქუჩაზე არსებული შიდა ეზოების მოასფალტება. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 ოქტომბერი.

შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2017 წლის 2 მარტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შესრულებულია 2 508 კვ.მ ასფალტობეტონის გზის საფარის მოწყობა, ღირებულებით 104.8 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს სამუშაოს მიღებიდან 2 წელს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2017 წლის 28 ივნისს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტი ადგილზე დაათვალიერა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. კერძოდ, ასფალტის საფარის ზედაპირი არასწორია, ზოგ ადგილას ჩავარდნილია, ხოლო რამდენიმე მონაკვეთი ჩაკერებულია ფრაგმენტულად.

სურათი 3. ჟორდანias ქუჩაზე მდებარე შიდა ეზოები



აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ 104.8 ათასი ლარი გადახდილია ისეთ პროექტში, რომლის ნაწილიც დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით სამუშაოებს.

მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო არსებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე სათანადო რეაგირების განხორციელება. გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის, სანიღვრე არხებისა და შიდა ეზოების მოასფალტების სამუშაოებს გააჩნდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, მიუხედავად ამისა, ხარვეზების გამოსასწორებლად გამგეობას შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია. შედეგად, მუნიციპალიტეტში მოწყობილი 852.7

²⁹ ხელშეკრულება №343; SPA 150031400.

ათასი ლარის ღირებულების პროექტები დაზიანებულია, სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს და საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს. აუდიტის ანგარიშის პროექტის მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რომელმაც გამოასწორა არსებული დაზიანებები.

რეკომენდაცია №4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოვლენილ ხარვეზებზე სათანადო რეაგირების განხორციელება. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განხორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად უნდა განხორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე გამგეობამ, პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ საგარანტიო პერიოდში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება

კრიტერიუმი. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროცესზე კონტროლსა და ზედამხედველობას³⁰. მუნიციპალიტეტი ვალდებულია სამუშაოების შესყიდვის პროცესი წარმართოს ისე, რომ შესრულებული სამუშაოები სრულად შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

2015 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „სამკუთხედთან“, ღირებულებით 240.0 ათასი ლარი³¹. ხელშეკრულება გულისხმობდა ქ. ლანჩხუთში დუმბადისა და წმ. ნინოს ქუჩებზე ცხაურებისა და მონოლითური რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობას. პროექტის მიხედვით, არხში მოწყობილი ბეტონის კედლის სისქე უნდა ყოფილიყო 10 სმ. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2015 წლის 17 დეკემბერს. სახელშეკრულებო თანხა ანაზღაურებულია სრულად. აღნიშნული თანხა მოიცავს რკინა - ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის ღირებულებას - 200.6 ათას ლარს. მუნიციპალიტეტს

³⁰ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 7, პუნქტი 1, ქვეპუნქტი დ.

³¹ ხელშეკრულება №213; SPA150015749.

შესრულებული სამუშაოების, ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან დადგენის მიზნით, თითოეულ ობიექტზე გამოყოფილი ჰყავდა ზედამხედველი.

2017 წლის 27 ივნისს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელა ობიექტის ადგილზე დათვალირება, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სანიაღვრე არხების მოცულობები არ შეესაბამებოდა პროექტით გათვალისწინებულს, კერძოდ, დუმბადის ქუჩაზე მოწყობილი 70 ცალი ანაკრები ბეტონის კედლის სისქე ნაცვლად 10 სმ-ისა, შეადგენს დაახლოებით 8 სმ-ს. ანალოგიური ხარვეზები შეინიშნება წმ. ნინოს ქუჩაზე, სადაც 8 სმ სისქის კედლის მქონე 147 ცალი ბეტონის სანიაღვრე ფილაა.

მუნიციპალიტეტის ტექნიკურმა ზედამხედველმა დაადასტურა, რომ მოწყობილი სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესაბამებოდა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულს, მაშინ, როდესაც მშენებლობის ნაწილი არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამრიგად, ქალაქ ლანჩხუთში დუმბადისა და წმ. ნინოს ქუჩებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზი გამოიწვია სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე არსებულმა კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებმა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიბარეს პროექტის შეუსაბამოდ შესრულებული ობიექტები. შედეგად, გამგეობამ მიმწოდებელს აუნაზღაურა 200.6 ათასი ლარი ისეთი სამუშაოებში, რომლის ნაწილიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად განხორციელება. მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს დროულად გამოავლინოს სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე არსებული ხარვეზები, დაადგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და ხელშეკრულების პირობებს შორის არსებული შეუსაბამოები. ამასთანავე, გამგეობამ არ დაუშვას შეუსრულებელი სამუშაოების ჩაბარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესრულებული სამუშაოების პროექტის შესაბამისად განხორციელებას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს აღნიშნულ ხარვეზზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები

ბეტონის სამუშაოების შესყიდვისას შემსრულებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტს წარუდგინოს მიწოდებული ბეტონის ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნები. ექსპერტიზის მიზანია განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება შესყიდული საქონლის ხარისხი არსებულ სტანდარტებსა და ხელშეკრულებით მოთხოვნილ მახასიათებლებს.

2015 წლის 2 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით 2 194.4 ათასი ლარი³². ხელშეკრულების საგანს წარმომადგენდა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში ასახული უნდა იყოს შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესაბამისობა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტთან.

მიმწოდებელმა შესრულებულ სამუშაოებზე წარმომადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დასკვნაში ასახულია მხოლოდ შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ მოცულობებთან, ხოლო ხარისხის შემოწმება არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტმა სამუშაოები 2016 წლის 14 ივნისს ჩაიბარა და სრულად აანაზღაურა. ჯამში მიმწოდებელს აუნაზღაურდა 2 194.4 ათასი ლარი. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა მომავალში გაითვალისწინოს მსგავსი გარემოებები და სამუშაოების მიღება-ჩაბარება განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შედეგად, გამგეობა სრულად მიიღებს ინფორმაციას რამდენად შეესაბამება შესრულებული სამუშაოების ხარისხი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკვერის კეთილმოწყობა

2015 წლის 5 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა სოფელ სუფსის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ჯორჯიან სტოუნს“, ღირებულებით 212.8 ათასი ლარი³³. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით, მოწყობილია 1 703 კვ.მ ბეტონის დეკორატიული ფილა, თანხით 44.2 ათასი ლარი.

2017 წლის 28 ივნისს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტი ადგილზე დაათვალიერა, რის შედეგად გამოვლინდა, რომ დაგებული ბეტონის დეკორატიული ფილების ნაწილი დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით აღდგენით სამუშაოებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაზიანება გამოიწვია ფორსმაჟორულმა სიტუაციამ. კერძოდ, სკვერის ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძარი და საჭირო გახდა სახანძრო მანქანის შეყვანა.

³² ხელშეკრულება №266, ხელშეკრულების თავდაპირველმა ღირებულებამ შეადგინა 1995.0 ათასი ლარი, თუმცა სტიქიის შედეგად შესასრულებელი სამუშაოები დაემატა და ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 2194.4 ათას ლარამდე.

³³ ხელშეკრულება №298; SPA150024802

სურათი 4. სოფელ სუფსის ცენტრის კეთილმოწყობა

აღსანიშნავია, რომ გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების სათანადო ექსპლოატაცია ისე, რომ მისი ქმდებით ან უმოქმედობით ზიანი არ მიაღწეს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად. შედეგად, მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 44.2 ათასი ლარი დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოებში, რომლის ნაწილიც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით აღდგენით სამუშაოებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგება, რომელზეც გამოითქვა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.
5. ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ.
6. ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ.
13. ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის დანართის სახით.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, შემდეგი სამართლებრივი აქტების შესაბამისად:

✓ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

პირობით მოსაზრების საფუძველი

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

მუნიციპალიტეტმა ორი ხელშეკრულების³⁴ ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მოხდა მათი მიღება-ჩაბარების თარიღის გადავადება მომდევნო წლისათვის. 2017 წლის 1 იანვრისათვის 2 290 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლისა, წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლებში. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 2 290 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) შენობა-ნაგებობების შესაბამისი მუხლები გაზრდილია 2 290 ათასი ლარით.
- დაუმთავრებელ ძირითად აქტივს არ ერიცხება ცვეთა. დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში ასახულია 644.9 ათასი ლარის ოდენობით. ცვეთის თანხის გაანგარიშებისას მუნიციპალიტეტმა არ ისარგებლა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციით. ასევე მუნიციპალიტეტმა ცვეთა დაარიცხა არა სრულად არსებულ ძირითად აქტივებს, არამედ აქტივების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეიძინა 2016 წელს.

³⁴ ხელშეკრულება №16, № 237.

ამრიგად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთის თანხით არ შეუმცირებია აქტივების ღირებულება. შესაბამისად, ბალანსში აქტივების ღირებულება გაზრდილადაა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) ცვეთის თანხით გაზრდილადაა წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლი.
- დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე
- დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლი 3 832.2 ათასი ლარით აღემატება დანართ №3-ში წარმოდგენილ წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში არ აისახებოდა ცვეთის თანხა, „არაფინანსური აქტივების“ მუხლში გაზრდილადაა წარმოდგენილი აქტივების მაჩვენებელი, რის გამოც აქტივებისა და ვალდებულებების დასაბალანსებლად ბალანსში ციფრი გადმოტანილი არ არის ფორმა №3-დან. აღნიშნულის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე განხორციელებული რეაგირებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესაბამისობის აუდიტი და 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების აუდიტი. აუდიტების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება. 2017 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტს ყველა დარღვევა-ნაკლოვანებაზე გატარებული აქვს სათანადო ღონისძიებები.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი

მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა 15.01.2018

თარიღი

აუდიტორი

სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 15.01.2018

თარიღი

აუდიტორი

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 15.01.2018

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ლალიძე



ხელმოწერა 15.01.2018

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა 15.01.2018

თარიღი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE